



დამოუკიდებლობის დღა

პროგრამა

ო ზ უ რ ბ ე თ ი

ოზურგეთის საკათედრო ტაძარი - საქართველოს დამოუკიდებლობისათვის დაღუპულთა სულების მოსახსენიებელი წირვა, ზარების რეკვა.

იუსტიციის სახლის წინ - სამხედრო ტექნიკის გამოფენა.

თეატრალური მოედანი - შსს-ს ტექნიკის გამოფენა; ტურისტული კუთხის მოწყობა (კარვები, აქსესუარები, ცხენები), ფოტო-გამოფენა „ტურისტული გურია“ და ფოტო-ვიდეო-კინოაპარატების გამოფენა; მოლბერტზე ხატვა; თოჯინური სპექტაკლები; კარიკატურების შექმნა კარიკატურისტების მიერ; ხალხური რეწვის ნიმუშებისა და ოზურგეთელი მხატვრების ნახატების გამოფენა-გაყიდვა; კულინარიული კუთხე; ქოთნის ყვავილების გამოფენა-გაყიდვა; კაფეებისა და სწრაფი კვების ობიექტების ფუნქციონირება; ფოტოგამოფენა „ძველი ოზურგეთი“ და „მებრძოლი გურია“; ეთნოგრაფიული კუთხის წარმოდგენა ფოლკლორული ანსამბლების სიმღერის ფონზე; საბავშვო ბაღის აღსაზრდელების კონცერტი; სიმღერისა და ცეკვის ფოლკლორულ-ქორეოგრაფიული ანსამბლების კონცერტები; ლუდის ფესტივალი; სპორტულ შეჯიბრებებში გამარჯვებული სპორტსმენების დაჯილდოება პრიზებითა და სიგელებით; ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფების საესტრადო კონცერტი.

ცენტრალური ბიბლიოთეკა - ძველი და ახალი წიგნების გამოფენა; ახალგაზრდა პოეტების პოეზიის საღამო.

ოზურგეთის ცენტრალური ქუჩები - ტრადიციულ სამოსში გამოწყობილ ცხენოსანთა ჯგუფის მსვლელობა საქართველოს დროშებით.

სპორტის განვითარების ცენტრის მიმდებარე ტერიტორია - სტარტი - კროსი 1000 მეტრზე 50 სპორტსმენის მონაწილეობით; მსოფლიო რეკორდსმენის გოდერძი მახარაძის მიერ 2 რეკორდის დამყარება თავით ბურთის კენწვლაში.

ქალაქის ქუჩები - ქართველი მწერლების, ცნობილი პერსონაჟების გაცოცხლება და მოსახლეობის ჩართვა სახალხო დღესასწაულში, საყოველთაო სეირნობა ძველებური ღია „კონკით“.

კულტურისა და დასვენების პარკი - შეჯიბრი ჭადრაკში, ნარდსა და ტაეკვანდოში; ქართული ჭიდაობა; მკლავჭიდის საჩვენებელი ნომერი; პატარების რაგბი; ბაგირის გადაზიდვა საჯარო სკოლებს შორის; გასართობი თამაშები.

კულტურისა და დასვენების პარკის მიმდებარე ტერიტორია - ფრენბურთის ჩემპიონატი საჯარო სკოლებს შორის.

სამხატვრო გალერეა - მხატვარ გია ბულაძის ნახატების გამოფენა; ცვილის ნამუშევრების გამოფენა.

თეატრალური მოედნის მიმდებარე ტერიტორია - მინი-ფეხბურთი.

ჩოგბურთის მოედანი - ჩოგბურთის ფინალური მატჩი.

21:30 სთ - თეატრალური მოედანი - საქართველოს ჰიმნი, ფოიერვერკი.